	ფაქტობრივ მისამართებში იკვეთებოდა უზუსტობა, რიგ დოკუმენტში სკოლის მისამართი იყო ომარ ვარძელაშვილის N 153 (თვითშეფასების ფორმაშიც მითითებული იყო), საჯარო რეესტრის ძველ დოკუმენტში ფაქტობრივი მისამართი იყო ვარძელაშვილის N 87, ამ გარემოებების გათვალსიწინებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია წარმოედგინა ფართის ფლობის დოკუმენტი, დაზუსტებული მისამართით. სკოლამ ვიზიტის პერიოდში გაასწორა აღნიშნული ხარვეზი და წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882020449212 , რომლის მიხედვით, უზუფრუქტუარია: ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია, საგანი -10100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა- ნაგებობები, 7 წლის ვადით. გიმნაზიის სასწავლო კორპუსის შესწავლისას დადგინდა მისი ფართი: 1-ლი სართული-საერთი ფართი-518,89 კვ.მ' მე-2 სართული-საერთო ფართი-532,02 კვ. მ მე-3 სართული- საერთო ფართი-531,65კვ.მ შენობის განაშენიანების ფართი-655კვ.მ. გიმნაზიის ტერიტორიაზე სხვა განთავსებული შენობა- ნაგებობების (სველი წერტილები, საქვაბე, სატრაპეზო, სკოლამდელი დაწესებულება) ფართების დაუსტება ვერ მოხერხდა, რადგან სამშენებლო სამუშაოების ჩატარების გამო შეიცვალა მონაცემები, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეადგინოს ახალი აზომვითი ნახაზები და დაზუსტდეს ფართები ტექნიკურ პასპორტში. გიმნაზიამ ვიზიტისას იურიდიული და ფაქტობრივი მისამართიც დააზუსტა , რომელიც აისახა საჯარო რეესტრის ამონაწერში,სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის სატიტულო დოკუმენტზე განხორციელებული ცვლილება(მისამართი) კანონმდებლობის შესაბამისად, წარადგინოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
ფაქტობრივი მისამართი	**ქ. ქარელი, ომარ ვარძელაშვილის ქუჩა N 87**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**68.10.04.078**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

კვ.მ.	**10100.00კვ. მ.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 8820204492152 21/07/2020; უზუფრუქტის ხელშეკრულება ; სკოლის წესდებაში ცვლილებების ასახვის დოკუმენტი დამოწმებული ნოტარიულად N 200463136; 20/07/20; აზომვითი ნახაზი.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიამ წარმოადგინა სასკოლო მერხის და სკამის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, დამოწმებული ნოტარიულად ,კერძოდ: • 2019 წლის 02 სექტემბრით დათარიღებული ხელშეკრულება და მიღება ჩაბარება , რომლის მიხდვით გიმნაზიას უსასყიდლოდ გადაეცა: სასკოლო მერხი- 210 ც. სასკოლო სკამი- 211 ც; მასწავლებლის მაგიდა- 20 ც; საოფისე სკამი-21 ც; დაფა-20 ც; პერსონალური კომპიუტერი-9 კომპლექტი; საოფისე და სამედიცინო კაბინეტის სხვადასხვა აღჭურვილობა. • შპს,,კავკასიის უნივერსიტეტი“ მიერ გაცემული სასაქონლო ზედნადები N 0209855672 70 ერთეული სკოლის მერხის სკამთან ერთად ფლობის დოკუმენტი; ვიზუალური დათვალიერებით სკოლას ადგილზე 300 მერხი და სკამი აქვს, თუმცა დოკუმენტურად დასტურდება მხოლოდ 280 ერთეული ინდივიდუალური სკოლის მერხის სკამთან ერთად ფლობის დოკუმენტი. სასკოლო ინვენტარი: მერხები, სკამები, კარადები, დაფები და სხვ. განთავსებულია 14 საკლასო ოთახში (სულ 17 საკლასო ოთახია.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 02/09/2019 წლის ხელშეკრულება და მიღება- ჩაბარება დამოწმებული ნოტარიულად N 200472242; • სასაქონლო ზედნადები N 0209855672 ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას აქვს დახურული საცურაო აუზი, რომელიც ექსპლუატაციაში არ არის შესული, დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შექმნილია ტექნიკური პრობლემა , რომელიც საჭიროებს გარკვეულ დროს რათა დასრულდეს აუზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გიმნაზიის ეზოში განთავსებულია ღია სპორტული მოედანი, სადაც შესაძლებელია სკოლის მიერ შერჩეული სპორტის სახეობების : ფეხბურთის და ფრენბურთის თამაშების ჩატარება. 2020-2021 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, საბაზო საფეხურზე სპორტის მესამე სახეობად განისაზღვრება მაგიდის ჩოგბურთი. (ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა და დადგინდა , რომ სკოლას აქვს მაგიდის ჩოგბურთის ჩატარებისთვის შესაბამისი ინვენტარი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	აზომვითი ნახაზი; ვიზუალური დათვალიერება; გასაუბრება დირექციასთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია მე-2 სართულზე, ოთახში არის ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება.ოთახში დგას მოძრავი ხელსაბანი,ლაბორატორიის აღჭურვილობა გაშლილია და დევს მაგიდებზე.სკოლას მიეცა რეკომენდაცია უსაფრთხოების მიზნით განათავსოს კარადებში ლაბორატორიის კომპლექტაცია. .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს. კავკასიის უნივერსიტეტის ,, მიერ 2015 წელს გადაცემულია ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორია , წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აქტი(26/11/2015) და სასაქონლო ზედნადები N 0209855672 • 2015 წლის 14 დეკემბრის მიღება -ჩაბარება შპს. ,,ჯეო დეკორის ,, მიერ ლაბორატორიის დანაკლისის გადაცემის შესახებ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: რაც გულისხმობს ელექტროენერგიის სტაბილურ, უწყვეტ მიწოდებას (სკოლას აქვს ასევე გენერატორი) . მოწესრიგებულია გიმნაზიის ეზოში არსებული სველი წერტილები, ცალკე გოგონებისთვის , ვაჟებისთვის , სსსმ პირებისთვისა და მომსახურე პერსონალისთვის. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების საშუალება. გიმნაზიის ტერიტორიაზე განთავსებულია წყლის ავზები, რომელიც წყლის უწყვეტობას უწყობს ხელს, თუმცა სკოლა ასევე მარაგდება შპს ,,საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიის“ცენტრალური წყალგაყვანილობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	კომუნალური გადახდების ქვითრები(წყალი,დასუფთავება, ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი); ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის ბიბლიოთეკა განთავსებულია მე-2 სართულზე,მცირე ზომის კაბინეტში, დირექციის განმარტებით იგეგმება ბიბლიოთეკის დიდ ოთხაში გადატანა და მოწყობა.სკოლას 2019 წლის 24 ივნისის N 2-30 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება,რომლის თანახმად ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია ორშაბათი-პარასკევი 10:00 დან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	15:00 სთ-მდე და ძირითადი ფუნქციებია: საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, ბიბლიოთეკის მომარაგება საგანმანათლებლო,შემეცნებითი ღირებულების მქონე ქართული და უცხოური ლიტერატურით; ლიტერატურის დაცვა და სასკოლო საზოგადოებისთვის თავისუფლად წვდომის უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზების შექმნა, სამკითხველოში ლიტერატურით სარგებლობისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, ბიბლიოთეკის აღჭურვა შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. სკოლის ბიბლიოთეკაში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სხვადასხვა ლიტერატურა, მათ შორის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახელმძღვანელოები.წიგნები განთავსებულია თაროებზე, თუმცა თაროების რაოდენობა არასაკმარისია,დამუშავებულია სკოლის ბიბლიოთეკის ბეჭდით და ბიბლიოგრაფიული წესით. ადგილზე წარმოდგენილია ყველა სსგ განსაზღვრული სახელმძღვანელოს რამდენიმე ეგზემპლარი და ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში აღრიცხული 4460 ერთეული წიგნი, აღსანიშნავია, რომ სკოლას დაწყებული აქვს openbiblio პროგრამის გამოყენება, რაც ბიბლიოთეკას ელექტრონული კატალოგის შექმნაში დაეხმარება. ბიბლიოთეკაში დგას ინტერნეტში ჩართული ერთი კომპიუტერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ბიბლიოთეკის სარგებლობის დებულებით, დამტკიცებული სკოლის რექტორის 2019 წლის 24 ივნისის N 2-30 ბრძანებით. ბიბლიოთეკის საინვენტარი წიგნით; ვიზუალური დათვალიერებით; ბიბლიოთეკართან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის სასწავლო კორპუსის შესასვლელი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლეთათვის(ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ყავდა), ასევე სართულებს შორის კიბეებზე შეიცვალა ხის და დამონტაჟდა ლითონის ასაკეცი პანდუსი. ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებულია ეზოში არსებული სველ წერტილებთან ერთად, ცალკე დამოუკიდებელი შესასვლელით და სივრცით,სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო კორპუსიდან სველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წერტილებამდე მისასვლელი გზა კეთილმოაწყოს, რაზეც დირექციამ განმარტა, რომ ეზოს კეთილმოწყობის პროექტი დაწყებულია და გათვალისწინებულია სველ წერტილებამდე მისასვლელი ბილიკის მოწყობაც, (ვიზიტისას ეზოში იგებოდა ფილები და მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალრი დათვალიერებით; გასაუბრება დირექციასთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის მე-2 სართულზე კომპიუტერულ კლასში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 10 ერთეული პერსონალური კომპიუტერი; ბიბლიოთეკაში -1 კომპ. კანცელარიაში -2 კომპ. სამასწავლებლოში -1 კომპ. ჯამში სულ- 14 პერსონალური კომპიუტერი. გიმნაზიის მფლობელობაშია პროექტორი, პრინტერი , ქსეროქსი. გიმნაზიის ვებ -გვერდია www. gimnazia.edu.ge სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია. საკომუნიკაციო საშუალებად სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს. გიმნაზიის ელექტრონული ფოსტის მისამართია g.mtacmindeli@gmail.com
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 02/09/2019 წლის ხელშეკრულება და მიღება- ჩაბარება დამოწმებული ნოტარიულად N 200472242; (9 კომპ. ფლობის); • შპს ,,კავკასიის უნივერსიტეტის“ სასაქონლო ზედნადები N0209855672 (5 კომპ. ფლობის შესახებ); • ინვენტარიზაციის ნუსხით; • დომენის ერთწლიანი განახლების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შპს. ,,დომენები .ჯი'' N 191011-004 (11/10/2019); • Wix.comჰოსტის გადახდის დოკუმენტი N 708161751(07/07/20); • ინტერნეტპროვაიდერთან დადებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ვიზუალური დადთვალიერება. • ვებ -გვერდი www. gimnazia.edu.ge
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიამ წარმოადგინა ,, ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო დახმარების მექანიზმების შესახებ“ გიმნაზიის რექტორის 01/09/2011 წლის N 43 ბრძანება, რომელიც არეგულირებს ხანძრის შემთხვევეში გასატარებელ ღონისძიებებს. გიმნაზიის სამივე სართულზე განთავსებულია ევაკუაციის გეგმით განსაზღვრული შესაბამისი რაოდენობის ცეცხლმაქრები(ჯამში 7 ცალი), სკოლამ მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე ვიზიტის პერიოდში გადატუმბა ყველა ცეცხლმაქრი. ცეცხლმაქრებთან გამოკრულია მათი გამოყენების ინსტრუქცია, საგანგებო სიტუაციების დროს სავალდებულო უწყებების საკონტაქტო ნომრები,საევაკუაციო გასასვლელის მიმანიშნებელი სიმბოლოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	რექტორის ბრძანება N 43 01/09/2011 გიმნაზიის ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო დახმარების მექანიზმების შესახებ; ვიზუალური დათვალიერებით; სასაქონლო ზედნადები N 0535931136.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თვალისაჩინო ადგილას ყველა სართულზე განთავსებულია ევაკუაციის გეგმები, დამოწმებული საგანგებო სიტუაციების მართვის ქვეუწყების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	თვალისაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმები. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით და პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით; გიმნაზიაში დასაქმებულია 1 ექიმი და 1 ექთანი; ვიზუალური დათვალიერებისას გიმნაზიას მიეცა რეკომენდაცია სამედიცინო ოთახი უზრუნველყოს ხელის დასაბანი საშუალებით, რაც ვიზიტის პერიოდში შესრულდა და დამონტაჟდა მოძრავი ხელსაბანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გიმნაზიის ტერიტორიაზე შესასვლელთან მოწყობილია საგუშაგო.შესვლა-გასვლის პროცესს აკონტროლებს 3 დარაჯი. გარდა ამისა, სკოლაში არის პედაგოგთა მორიგეობა, რომლებიც თვალს ადევნებენ მოსწავლეთა ქცევას სკოლის შენობასა და ეზოში.გიმნაზიის მთელი პერიმეტრი შემოღობილია. სკოლას განსაზღვრული ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი -უფლებამოსილი პირი, რომელიც გადამზადებულია სსიპ საგანმანათლებლო მანდატურის სამსახურის მიერ , აქვს შესაბამისი აღჭურვილობა (მეტალოდეტექტორი) და წვდომა ვიდეო კამერებზე. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა დდა პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების ,მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N 6/ნ ბრძანების შესაბამისად ,გიმნაზიის რექტორის 2020 წლის 15 ივნისის N 2-36 ბრძანებით დამტკიცებულია „გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“,დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა ,რომ სკოლას გაგზავნილი აქვს სამინისტროში შემუშავებული წესი შესათანხმებლად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თუმცა მიღებული აქვს საპასუხო წერილი N 362313 ,სადაც ასახულია შესათანხმებლად გაგზავნილ წესთან დაკავშირებით სამინისტროს შენიშვნები და მოსაზრებები.რეალურად შეთანხმება არ მომხდარა, სკოლამ ისე დაამტკიცა წესი. გიმნაზიას მიეცა რეკომენდაცია დაასრულოს სამინისტროსთან შეთანხმების პროცესი, ბათილად ცნოს არსებული ბრძანება, მხოლოდ მას შემდეგ დაამტკიცოს , როდესაც სამინისტრო წესის შეთანხმების პოზიციას დაუდასტურებს. შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში კვლავ რჩებოდა ძალაში ,, ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო დახმარების მექანიზმები“ გიმნაზიის რექტორის 01/09/2011 წლის N 43 ბრძანება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ბრძანება პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ; დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულება; პედაგოგთა მორიგეობის ცხრილი; მეტალოდექტორის შესყიდვის სასაქონლო ზედნადები N0509661842; უფლებამოსილი პირის გადამზადების დამადასტურებელი სერტიფიკატი N 158/9; განათლების სამინისტროში გაგზავნილი კორესპონდენცია ,,გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესათანხმებლად;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შეძენილი აქვს და დამონტაჟებულია **6 გარე** პერიმეტრის კამერა, რომელთაგან 2 აკონტროლებს სკოლის ეზოში შემოსასვლელს (ქუჩას), 2 აკონტროლებს სკოლის შენობაში შემოსასვლელს,2 კამერა სკოლის ეზოს სსვადასხვა რაკურსით აფიქსირებს, სკოლის შენობაში დამონტაჟებულია **6 შიდა** პერიმეტრის კამერა, თითოეულ სართულზე 2-2 .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჯამში სულ -13 შიდა და გარე პერიმეტრის კამერა. 1 ვიდეოკამერა დამონტაჟებულია სკოლის კომპიუტერულ კლასში(ტარდებოდა საატესტატო გამოცდები), რომელიც ვიზიტის პერიოდში გამორთული იყო, თუმცა მეტი სანდოობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლის დირექციას მიეცა რეომენდაცია შეიფუთოს კლასში არსებული კამერა, რაც ვიზიტის პერიოდში განხორციელდა. კამერების გამოსახულების ჩაწერა და მონიტორინგი ხდება რექტორის კაბინეტში, ხოლო გარე პერიმეტრის კამერების ჩაწერა და მონიტორინგი საინფორმაციო მენეჯერის კომპიუტერში. კამერების პარამეტრები შეესაბამება: „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიდეო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით საგადახდო უწყისი- N 24394617 (8 ვიდეოკამერის ფლობა); კომპ. კლასში დამონტაჟებული ვიდეო კამერის ფლობის დოკუმენტი - სასაქონლო ზედნადების N 136 ; სასაქონლო ზედნადებით N 0413801791 (4 სამეთვალყურეო გარე კამერის ფლობა).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიამ წარმოადგინა 2007 წელის 10 სექტემბერს სანოტარო აქტით დამტკიცებული წესდება ,, საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიი დაფუძნების შესახებ.“ წესდების თანახმად, სკოლის იურიდიულ მისართად დაფიქსირებულია : ხაშურის რაიონი,დაბა სურამი, ხოლო რეალურად სკოლა განთავსებულია ქ. ქარელის ვარძელაშვილის ქ.87. ვიზიტის პერიოდში მოხდა ცვლილების ასახვა წესდებაში და იურიდიული და ფაქტობრივი მისამართების დაზუსება.(სკოლამ წარმოადგინა ცვლილება წესდებაში ნოტარიულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>დამტკიცებული, აღნიშნული ცვლილების საფუძლზე გიმნაზიამ მიმართა იუსტიციის სახლს საჯარო რეესტრის ამონაწერში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით)</u> გიმნაზიამ ვიზიტის პერიოდში წარმოდგინა სკოლის რექტორის 2019 წლის 30 აგვისტოს N 2-48 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. <u>გიმნაზიის წესდების შესწავლისას დადგინდა რომ სკოლის შინაგანაწესის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია გიმნაზიის დამფუძნებელი. შესაბამისად, წარმოდგენილი შინაგანაწესი არ იყო უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოეყვანა აღნიშნული შესაბამისობაში, რაც ვიზიტის პერიოდში განხორციელდა- სკოლის წესდებაში ცვლილების ასახვა და ნოტარიული წესით დამოწმება . შინაგანაწესის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრა გიმნაზიის რექტორი. სკოლამ ხელახლა წარმოადგინა გიმნაზიის რექტორის მიერ 21 /27/2020 წლის ბრძანება 2-52 ,,გიმნაზიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც რეგულირდება</u> : გიმნაზიის სტრუქტურა და მართვა; სასწავლო -საგანმანათლებლო პროცესი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები; გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი; სამუშაო დრო; შრომითი ურთიერთობების წარმოშობა, შრომითი ურთიერთობების პირობები; დასაქმებული წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; მატერიელური პასუხისმგებლობა; მოსწავლის ჩაცმულობის წესი და გარეგნული სახე; შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების საჩივრის განხილვა; ექსკურსია და მისი ორგანიზების წესი; სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გიმნაზიის რექტორის ბრძანება N 2-52 (21.07.20) შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ; სკოლის წესდება ; ცვლილება სკოლის წესდებაში დამტკიცებული ნოტარიულად N 200463136 (20/07/20).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (2016-2022) და ერთწლიანი(2019-2020) სტრატეგიული გეგმები, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, ასევე ისეთ ამოცანებს როგორიცაა სკოლის დემოკრატიზაციის და მართვის სისტემის განვითარებას, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიებს და სხვ, განსაზღვრულია უფლებამოსილი პირები და ამოცანების შესრულების ვადები. გიმნაზია სტრატეგიული გეგმის შედგენის წინ იყენებს SWOT ანალიზს ,სადაც გათვალისწინებულია სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	დამტკიცებული გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა; პედაგოგიურ საბჭოზე ოქმი N55 (02/09/2019)დამტკიცებული ერწლიანი სამოქმედო გეგმა; SWOT ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი,გიმნაზიამ წარმოადგინა შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები,დანომრილი,ზონარგაყრილი,დალუქული და ბეჭედდასმული. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვაზე უფლებამოსილია საქმეთამმართველი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საქმისწაარმოების წესი; სარეგისტრაციო ჟურნალების ვიზუალური დდათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	სველ წერტილებამდე მისასვლელი გზა მოწესრიგდეს; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსდეს კარადები, ლაბორატორიის აღჭურვილობის უსაფრთხოდ შენახვის მიზნით.
რჩევები:	გადაიხედოს პერიოდულად დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათი კანონმდებლობასთან სისრულეში მოყვანის მიზნით.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ააიპ-საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში მართვის საიფორმაციო სისტემის(ESCHOOL) მოსწავლეთა ბაზის მონაცემებით ირიცხება 164 მოსწავლე. სკოლის ადმინისტრაციულ- ტექნიკურ მომსახურეობას უზრუნველყოფს 18 თანამშრომელი: გიმნაზიის რექტორი, რექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ელექტრიკოსი, ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, აიტი მენეჯერი , ბიბლიოთეკარი, ექიმი, ექთანი , 5 დამლაგებელი, დარაჯი 3 . აღნიშნული ადამიანური რესურსით სკოლა წარმართავს სასწავლო პროცესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	eSchool -ის (მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზით). საშტატო განრიგი; გასაუბრებით დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	35
მოწვეული/მაძიებელი	0
პრაქტიკოსი მასწავლებლი	10
უფროსი მასწავლებლი	22
წამყვანი მასწავლებლი	2
მენტორის სტატუსი	1

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის ყველა მასწავლებელს უდასტურდება კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაცია იმ საგანში, რასაც ასწავლის. მასწავლებლების კვალიფიკაცია დასტურდება ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებული მოთხოვნით და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყველა პედაგოგი ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	eSchool -ის ბაზა; მასწავლებელთა პირადი საქმეებით (უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული მასწავლებლის სერტიფიკატები.)
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში შემუშავებულია თანამშრომელთა როგორც მიღების, ასევე გათავისუფლებისა და წახალისების გამჭირვალე სისტემა. შინაგანაწესის მიხედვით, მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის წესით. გამონაკლისს წარმოადგენს მოწვეული მასწავლებლისა და შემცვლელი მასწავლებლის მიღება. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, , ადგენს გიმნაზიის რექტორი. გიმნაზიაში მიღებულ დასაქმებულთან იდება შრომითი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით იხსნება პირადი საქმე, შინაგანაწესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრულია აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც უნდა წარადგინოს კანდიდატმა. გიმნაზიის რექტორი , არის პირი, რომელიც უფლებამოსილია თანამშრომლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებაზე. რაც შეეხება წახალისების სისტემას და დისციპლინურ პასუხისმგებლობას, სკოლის შინაგანაწესით დეტალურადაა განსაზღრული დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომებისა და პასაუხისმგებლობის სახეები. დისციპლინური სასჯელი. გარდა ამისა სწავლა-აღზრდაში მიღწეული წარმატებისთვის და პედაგოგიურ საქმიანობაში მიღწეული სხვა წარმატების გამო თანამშრომელი შეიძლება წახალისდეს გიმნაზიის რექტორის მხრიდან, რომელიც ფორმდება ბრძანების სახით და გაეცნობა კოლექტივს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გიმნაზიის რექტორის ბრძანება N 2-52 (21.07.20) შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ; თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთნ და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ერთწლიანი ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებები რეგისტრირებულია შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში.ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად. ყველა ხელშეკრულება არის მხარეების მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული სკოლის ბეჭდით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შრომითი ხელშეკრულებები; შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	გიმნაზიის პედაგოგები ჩართულები არიან ,,მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	არსებობს რექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბრძანება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ; ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ ტრენინგებსა და სხვადასხვა აქტივობებში. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად იძიებს და აწვდის ინფორმაციას სიახლეებისა და მიმდინარე ტრენინგების აქტივობების შესახებ. რექტორის მოადგილე კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად უწევენ კონსულტაციას საგაკვეთილო პროცესის, თემატური გეგმების მომზადების, საგანმანათლებლო რესურსების შესახებ. სკოლაში დანერგილია ურთიერთდასწრების , „კრიტიკული მეგობრის“ გამოცდილება. სკოლის 35 პედაგოგიდან 10 პრაქტიკოსია, 22 უფროსი, წამყვანი 2, მენტორი 1.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გიმნაზიის რექტორის 2018 2 ოქტომბრის N 2-76 წლის ბრძანება ,, შეფასების ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . პედაგოგთა სერტიფიკატებით. რექტორის მოადგილის ანგარიშებით, გაკვეთილზე დაკვირვების ფურცლი; მასწავლებლის პორტფოლიო; გასაუბრება დირექციის წევრებთან და მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რასაც არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლეებს, პედაგოგებს, ადმინისტრაციასა და დირექციას ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემიზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. გიმნაზიაში ტარდება სხვადასხვა სახის საერთო სასკოლო ღონისძიებები, პროექტები, ინფორმაცია პერიოდულად ქვეეყნდება გიმნაზიის ვებ-გვერდზე. ინტერვიუირებისას მშობლები მასწავლებლები და მოსწავლეები, კითხვაზე, თუ რითი გამოარჩევდით თქვენს სკოლას სხვა სკოლებისგან, სამივე კატეგორიის რესპოდენტები პასუხობდნენ, რომ სკოლის მყუდრო და კეთილგანწყობილი ატმოსფერო, არის სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე. ამ განსხვავებას განსაკუთრებით აღნიშნავდნენ სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეები და მათი მშობლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუებით, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ; სკოლის ვებ-გვერდი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, დაგეგმოს მრავალფეროვანი აქტივობები.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

არა

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი 21-27 ივლისი 2020 წ.
გვერდების რაოდენობა 38

38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ირმა ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.